



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №28/3112-14

24 თებერვალი, 2015 წელი

სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე (მომხსენებელი) – ქეთევან მესხიშვილი
მოსამართლეები – ნათია გუჯაბიძე, ნატალია ნაზლაიძე

სხდომის მდივანი – დარეჯან ბიძინაშვილი

აპელანტი – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

წარმომადგენლები – **ჯ. მ.**

მოწინააღმდეგე მხარე – შპს „ქ. კ. კ.“

წარმომადგენლები – **ს. ქ.**

დავის საგანი – პირგასამტეხლოს დავისრება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება

1. აპელანტის მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება
2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა: შპს „ქ. კ. კ.-ს“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისროს, პირგასამტეხლოს სახით, 40 000 ლარის გადახდა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.



დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით

უდავო ფაქტობრივი გარემოებები

2.1. მხარეებს შორის 20.06.2013 წელს დაიდო N338 ნარდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, შემსრულებელმა, ანუ მოპასუხემ იკისრა ვალდებულება, დამკვეთისათვის, ანუ მოსარჩელისათვის გაეწია შემდეგი სახის მომსახურება, კერძოდ, სამხედრო მოსამსახურეები უზრუნველყო კვებით. ამავე ხელშეკრულების 15.1 მუხლით, მხარეებმა, მომსახურების არაჯეროვნად ან უხარისხოდ შესრულებისათვის (მათ შორის მენიუ-განწილვის არასწორად შევსება, კალორიაჟის დარღვევა, იჯარით გათვალისწინებული ნორმის არასრულად გაცემა, სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დარღვევა, უხარისხო საკვები პროდუქტების გამოყენება, უხარისხო საკვების მომზადება, მომსახურების გაწევის ვადის დარღვევა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების დარღვევა) გაითვალისწინეს 10000 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს შემსრულებლისათვის დაკისრება (ს.ფ. 21, ტ. 1)

2.2. მოსარჩელის მხრიდან მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს, ჯამში, 40000 ლარის ოდენობით გადახდის შესახებ მოთხოვნის წაყენება ემყარება 12.07.2013 წლის N100 აქტს, 13.07.2013 წლის N101 აქტს, 17.07.2013 წლის N103 აქტს და 20.07.2013 წლის N106 აქტს (ს.ფ. 40-49, ტ. 1).

2.3. 12.07.2013 წლის N100 აქტში, 13.07.2013 წლის N101 აქტში, 17.07.2013 წლის N103 აქტში და 20.07.2013 წლის N106 აქტში დაფიქსირებული სავარაუდო დარღვევები არ არის დაკავშირებული მოპასუხის მხრიდან ნაკისრი ვალდებულების მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ დროში შეუსრულებლობასთან (იხ. მხარეთა განმარტება სხდომის ოქმში).

დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

2.4. 12.07.2013 წლის N100 აქტის, 13.07.2013 წლის N101 აქტის, 17.07.2013 წლის N103 აქტის და 20.07.2013 წლის N106 აქტის შედგენის მიუხედავად მოსარჩელის სამხედრო ნაწილებში ამ ნაწილების სამხედრო მოსამსახურეებმა მოპასუხის მიერ გაწეული სავარაუდოდ ხარვეზიანი მომსახურება საკვების სახით მიიღეს-მოიხმარეს.

სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოში, სამოქალაქო სამართალწარმოება ემყარება თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული მხარე ვალდებულია დაამტკიცოს სარჩელში და შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად. მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნაა მოპასუხისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს დაკისრება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 419-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, კრედიტორს არ შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდაც და ვალდებულების შესრულებაც, თუკი, პირგასამტეხლო არ არის გათვალისწინებული იმ შემთხვევებისათვის, როცა მოვალე თავის ვალდებულებებს არ ასრულებს დადგენილ დროში. ამდენად, სასამართლომ განმარტა, რომ იმის მტკიცების ტვირთი აღნიშნულ მატერიალურ ნორმიდან გამომდინარე, რომ კრედიტორმა მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება არ მიიღო, მოსარჩელე მხარეზე მოდიოდა, ვინაიდან უდავოდ დადგინდა, რომ ვალდებულების დარღვევა არ



გამომდინარეობდა მოვალის მიერ ვალდებულების შეთანხმებულ დროში შეუსრულებლობიდან. მოსარჩელე მხარემ ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები სასამართლოს არ წარუდგინა, ხოლო მისმა წარმომადგენელმა განმარტა, რომ მისთვის უცნობი იყო, მიიღო თუ არა მოსარჩელის სამხედრო ნაწილებმა მოპასუხის მიერ ხარვეზიანი შესრულება.

ამდენად სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარემ აქტებში დაფიქსირებული შესრულების ხარვეზების დაფიქსირების მიუხედავად ხარვეზიანი შესრულება მიიღო, ვინაიდან ხელშეკრულების სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგანაც ხელშეკრულება ეხება სამხედრო მოსამსახურეების კვებით უზრუნველყოფას, ასეთი შესრულების მიუღებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურეები შესაბამის ნაწილებში საკვები ულუფის გარეშე დარჩებოდნენ, ხოლო რაც შეეხება ხარვეზიანი საკვების სხვა საკვებით ჩანაცვლებას აქტების შედგენისას, სამხედრო ნაწილებში, ასეთი მტკიცებულება სასამართლოში მხარეთა მიერ წარდგენილი არ ყოფილა.

დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით

2.5. სასამართლომ განმარტა, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით, პირგასამტეხლო წარმოადგენს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ ფულადი თანხას, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. უდავოდ დადგინდა, რომ მხარეები იმყოფებოდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობებში, ასევე უდავოდ დადგინდა, რომ, მათ შორის, წერილობით დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის პირგასამტეხლო თითოეული დარღვევის შემთხვევაში 10 000 ლარის ოდენობით, კერძოდ, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 15.1 მუხლით, შემსრულებელს პირგასამტეხლო ეკისრება მომსახურების არაჯეროვნად ან უხარისხოდ შესრულებისათვის, მათ შორის, მენიუ-განწილვის არასწორად შევსების, კალორაჟის დარღვევის, იჯარით გათვალისწინებული ნორმის არასრულად გაცემის, სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დარღვევის, უხარისხო საკვები პროდუქტების გამოყენების, უხარისხო საკვების მომზადების, მომსახურების გაწევის ვადის დარღვევის და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების დარღვევისათვის.

უდავოდ დადგინდა, რომ მხარეთა წარმომადგენლების მონაწილეობით 12.07.2013 წლის N100 აქტში, 13.07.2013 წლის N101 აქტში, 17.07.2013 წლის N103 აქტში და 20.07.2013 წლის N106 აქტში დაფიქსირებული სავარაუდო ხარვეზები არ გამომდინარეობდა მოპასუხის მხრიდან ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობიდან.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ აქტების შედგენის მიუხედავად მოპასუხის მხრიდან გაწეული მომსახურება მიიღო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 419-ე მუხლით, კრედიტორს არ შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდაც და ვალდებულების შესრულებაც, თუკი, პირგასამტეხლო არ არის გათვალისწინებული იმ შემთხვევებისათვის, როცა მოვალე თავის ვალდებულებებს არ ასრულებს დადგენილ დროში. კრედიტორს ყოველთვის აქვს უფლება, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, იმისათვის, რომ კრედიტორმა მოითხოვოს მოვალისაგან პირგასამტეხლოს დაკისრება, მაშინ როდესაც



ადგილი აქვს ვალდებულების შესრულების მიღებას, საჭიროა, სახეზე იყოს, შემდეგ გარემოებათა ერთობლიობა: ვალდებულების დარღვევა უნდა გამომდინარეობდეს მოვალის მხრიდან კრედიტორის მიერ მიღებული ვალდებულების მხარეთა მიერ შეთანხმებულ დროში შეუსრულებლობიდან, სხვა შემთხვევაში, როდესაც კრედიტორს შესრულება მიღებული აქვს და ვალდებულების დარღვევა არ გამომდინარეობს ვალდებულების დროში შესრულებიდან, მას მოვალისაგან პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება არ გააჩნია და ხელშეკრულებაში ასეთი დანაწესი, შეთანხმების მიუხედავად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად, ბათილია.

რაც შეეხება იმას, რომ მოსარჩელის მიერ პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი 40000 ლარი ხომ არ წარმოადგენდა ზიანის ანაზღაურებას, სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება, ანუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დროს სახეზე უნდა იყოს ფაქტობრივად, რეალურად დამდგარი ზიანი, რაც მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეიძლება გამოხატულიყო უვარგისი საკვების მიწოდებაში, სამხედრო მოსამსახურეთა მოწამვლაში ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაში, ასევე უვარგისი საკვების სხვა საკვებით ჩანაცვლებისათვის გაწეულ ფინანსურ დანახარჯებში, რისი მტკიცების ტვირთიც, ამ შემთხვევაში, კვლავ მოსარჩელე მხარეს ეკისრებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

3. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

სამართლებრივი საფუძვლები

3.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 418-ე მუხლის ჩანაწერი პირდაპირ მიუთითებს პირგასამტეხლოს განსაზღვრისას მხარეთა ნების თავისუფლებაზე, რაც ასევე გამოიხატება პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში. შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N338 ხელშეკრულების დადებისას სწორედ თავისუფალი ნების გამოვლენის პირობებში მოხდა პირგასამტეხლოზე, მის ოდენობაზე და ვალდებულების დარღვევის შინაარსზე შეთანხმება.

მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა 20.06.2013 წლის N338 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება და არა ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების (კვებით მომსახურების) შესრულება. N338 ხელშეკრულების 15.1 პუნქტის თანახმად კი, არაჯეროვან შესრულებას წარმოადგენს მენიუ-განწილვის არასწორად შევსება, კალორაჟის დარღვევა, იჯარით გათვალისწინებული ნორმის არასრულად გაცემა, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა, უხარისხო საკვები პროდუქტების გამოყენება, უხარისხო საკვების მომზადება, მომსახურების გაწევის ვადის დარღვევა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების დარღვევა.

ამდენად, სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად არასწორად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 419-ე მუხლზე, რადგან მოსარჩელის მოთხოვნას არ წარმოადგენდა ვალდებულების შესრულება, არამედ მოთხოვნას წარმოადგენდა N338 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების არაჯეროვანი



შესრულებისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა, თანახმად, ამავე ხელშეკრულების 15.1 და 15.1.1 პუნქტებისა.

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

ფაქტობრივი დასაბუთება

სააპელაციო პალატა სარჩელსა და სააპელაციო საჩივარში მითითებული დარღვევების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შპს „ქ. კ. კ.“ შორის შეთანხმებულ შემდეგ სახელშეკრულებო პირობებზე:

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N338 ხელშეკრულების 8.1.1. პუნქტის მიხედვით, შემსყიდველი, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ვალდებულია, უზრუნველყოს მიმწოდებელი, სამხედრო ნაწილებში არსებულ სამხედრო მოსამსახურეთა ერთდროული კვებისათვის საჭირო სამზარეულოთი, სამზარეული ინვენტარით და სამზარეულოს მოწყობილობა-დანადგარებით, საველე პირობებში - კვების საჭიროების შემთხვევაში საველე სამზარეულოთი და საველე სამზარეულოს დანადგარის ტექნიკური მომსახურებით, რაზედაც მხარეები აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N338 ხელშეკრულების 13.1. პუნქტის შესაბამისად, თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომლის გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში, უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება ამ გარემოებებთან დაკავშირებით.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N338 ხელშეკრულების 15.1. პუნქტის თანახმად, თუ შემსყიდველი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აღმოაჩენს მიმწოდებლის მხრიდან მომსახურების არაჯეროვან ან უხარისხო შესრულებას, (მათ შორის, მენიუ-განწილვის არასწორად შევსება, კალორაჟის დარღვევა, ნორმის არასრულად გაცემა, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა, უხარისხო საკვები პროდუქტების გამოყენება, უხარისხო საკვების მომზადება, მომსახურების გაწევის ვადის დარღვევა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების დარღვევა), მიმწოდებლის წინასწარი შეტყობინების გარეშე, დაეკისრება პირგასამტეხლო 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდებით.



სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N338 ხელშეკრულების 15.4. პუნქტის შესაბამისად, პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისაგან.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N338 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლება-მოვალეობების შეფასების შედეგად, პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ N100 აქტში აღწერილი დარღვევა შპს „ქ. კ. კ.-ს“ ბრალად არ უნდა შეერაცხოს, ხოლო N102, N103 და N106 აქტებით გათვალისწინებული დარღვევების მხოლოდ ნაწილია მიმწოდებლის ბრალით განპირობებული, ამასთან, დარღვევის სიხშირის, სიმძიმისა და სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ თითოეული დარღვევისათვის მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით, ნაცვლად 10 000 ლარისა, 1 000 ლარი უნდა დაეკისროს.

4.1. N100 აქტთან დაკავშირებით პალატა განმარტავს:

აქტში მითითებულია, რომ სასაბუღალტრო მონაცემების კერძების საგემოვნო თვისებები, დამაკმაყოფილებელია. ამავე აქტის მიხედვით ხორცის და ძეხვის ნორმები დარღვეულია. თუმცა, აქტში ასახული არ არის, თუ რაში გამოიხატება დარღვევა, რა ოდენობით მიეწოდებოდა სამხედრო მოსამსახურეებს ხორცი და ძეხვი, როგორ მოხდა მისი აწონვა, დაანგარიშება და ა. შ. შესაბამისად, აქტი, ამ მიმართებით, არ შეიცავს ფაქტებს, რომელთა შეფასების შედეგად სასამართლო მივიდოდა დასკვნამდე, რომ დარღვეულია სამხედრო მოსამსახურეთა სასურსათო უზრუნველყოფის ნორმები. ამავე აქტის მიხედვით, სასაბუღალტრო გააჩნია ჭურჭლის სარეცხი ორი დანადგარი, რომელიც გამოსულია მწყობრიდან, რეცხვა მიმდინარეობს ხელით, სამრეცხაოში აცვენილია ფილები, საჭიროებს მოწესრიგებას. სასაბუღალტრო ესაჭიროება საყინულე და კარადი მაცივრები, ჩანგლები, კოვზები, ლანგრები. მითითებულ ფაქტებთან დაკავშირებით პალატა განმარტავს, რომ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N338 ხელშეკრულების 8.1.1. პუნქტის მიხედვით, შემსყიდველი, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ვალდებულია, უზრუნველყოს მიმწოდებელი, სამხედრო ნაწილებში არსებულ სამხედრო მოსამსახურეთა ერთდროული კვებისათვის საჭირო სამზარეულოთი, სამზარეულო ინვენტარით და სამზარეულოს მოწყობილობა-დანადგარებით. ამდენად, ინვენტარითა და შესაბამისი საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობებით უზრუნველყოფა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვალდებულებას წარმოადგენდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მითითებული გარემოებების აღმოჩენა შპს „ქ. კ. კ.-ს“ პირგასამტეხლოს მოთხოვნის საფუძველი კი არ უნდა გამხდარიყო, არამედ სამინისტროს უნდა უზრუნველყო, დაუყოვნებლივ მასზე დაკისრებული ვალდებულების ჯეროვანი შესრულება და შპს „ქ. კ. კ.-ს“ ნორმალური სამუშაო პირობების შექმნა. ამდენად, მითითებული დარღვევა შპს „ქ. კ. კ.-ს“ ბრალად ვერ შეერაცხება, მხოლოდ იმის, გამო, რომ თავად თავდაცვის სამინისტროს მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე შპს „ქ. კ. კ.-ს“ არ შეატყობინა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ აქტში ასახული დარღვევა ბრალად შპს „ქ. კ. კ.-ს“ არ უნდა შეერაცხოს, ვინაიდან დარღვევა თავდაცვის სამინისტროს ბრალით არის განპირობებული, ხოლო მითითებული დარღვევის გამო შეუტყობინებლობის საფუძველით შპს „ქ. კ. კ.-ს“ პირგასამტეხლო არ უდა დაეკისროს, ვინაიდან აქტის მიხედვით დარღვევას რაიმე შედეგი, მაგალითად, ანტისანიტარია, კვებით



მომსახურების შეფერხება, ულუფის ზუსტი ოდენობის დადგენის შეუძლებლობა და ა. შ. არ მოყოლია, განსხვავებით, სხვა აქტებში ასახული ფაქტებისაგან.

4.2.N101 აქტთან დაკავშირებით პალატა განმარტავს:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

N101 აქტის მიხედვით, მშრალი საკვები მოთავსებული იყო ერთად, ინდივიდუალური შეფუთვის გარეშე, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველი, ორცხოვნილა, ნიორი, ხახვი (გაუფცქვნილი სახით), პური, მოხარშული კარტოფილი ერთმანეთში იყო აღრეული. **პალატა მიიჩნევს, რომ საკვების მითითებული ფორმით მოთავსება, მართალია, პირდაპირ ხელშეკრულებით აკრძალული არ იყო, თუმცა, ამგვარი ქმედება ვალდებულების შესრულების კეთილსინდისიერების პრინციპს ეწინააღმდეგებოდა.** რაც შეეხება უსიამოვნო სუნს, მითითებული გარემოება შპს „ქ. კ. კ.-ს“ ბრალად ვერ შეერაცხება, ვინაიდან აქტში მითითებულია, რომ „მშრალი ულუფა „ა.-ს“ სასადილოდან წამოღებული იყო წინა დღეს. ამასთან, მშრალი ულუფის ტრანსპორტირება შპს „ქ. კ. კ.-ს“ ვალდებულებას არ წარმოადგენდა. აქტში მითითებული შენიშვნების გამაქარწყლებელი მტკიცებულებები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (მოსარჩელეს) არ წარმოუდგენია. ამავ აქტში მითითებულია ასევე, რომ თუნუქის ქილას ჰქონდა საცხი, რომელიც სამხედრო მოსამსახურეებს საკვების მიღებაში ხელს უშლიდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, პალატა განმარტავს, რომ აქტში მითითებული არ არის, რომ საკვების მიღებამდე თუნუქის ქილიდან საცხის მოცილება შეუძლებელი იყო. აქტში ასევე არ არის მითითებული, რომ აღნიშნული საცხი მანე ნივთიერებებს შეიცავდა. საცხთან დაკავშირებით, შპს „ქ. კ. კ.“ განმარტავს, რომ მითითებული საცხი, ტემპერატურული ცვლილების პირობებში, თუნუქის ქილაში მოთავსებული საკვების კვებითი ღირებულების შენარჩუნებას ემსახურებოდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა აქტში ასახულ დარღვევას ნაწილობრივ დადასტურებულად მიიჩნევს, თუმცა, დარღვევის სიმძიმის, ხანგრძლივობის, მიმწოდებლის ბრალისა და დარღვევის შედეგების გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ 10 000 ლარის ოდენობით პირგასამტეხლო 1 000 ლარამდე უნდა შემცირდეს.

4.3. N103 აქტთან დაკავშირებით პალატა განმარტავს:

აქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეებისათვის მიწოდებული ხორცის და ხორცპროდუქტების ნორმები დარღვეული იყო, თუმცა, აქტში ასახული არ არის, თუ რაში გამოიხატება დარღვევა, რა ოდენობით მიეწოდებოდა სამხედრო მოსამსახურეებს ხორცი და ხორცპროდუქტები, როგორ მოხდა მისი აწონვა, დაანგარიშება და ა. შ. **შესაბამისად, აქტი, ამ მიმართებით, არ შეიცავს ფაქტებს, რომელთა შეფასების შედეგად სასამართლო მივიდოდა დასკვნამდე, რომ დარღვეულია სამხედრო მოსამსახურეთა სასურსათო უზრუნველყოფის ნორმები.** ამავ აქტის მიხედვით, სამზარეულო არ არის აღჭურვილი საჭირო ინვენტარით, მოუწესრიგებელია საკანალიზაციო სისტემა, ხშირად იტბორება სამზარეულო, რაც



ანტისანიტარიას იწვევს. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატა განმარტავს, რომ მართალია, საჭირო ინვენტარით აღჭურვა თავდაცვის სამინისტროს ვალდებულებას წარმოადგენდა, თუმცა, ვინაიდან თავდაცვის სამინისტროს მხრიდან მასზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა ანტისანიტარიას იწვევდა, ამიტომ, შპს „ქ. კ. კ.-ს“ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N338 ხელშეკრულების 13.1. პუნქტის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის უნდა შეეტყობინებინა, რომ ხელშეკრულების შესრულების პროცესში ადგილი ჰქონდა ხელშემშლელ გარემოებას, რომლის გამოც, ხელშეკრულების პირობების შესრულება ფერხდებოდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა აქტში ასახულ დარღვევას ნაწილობრივ დადასტურებულად მიიჩნევს, თუმცა, დარღვევის სიმძიმის, ხანგრძლივობის, მიმწოდებლის ბრალისა და დარღვევის შედეგების გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ 10 000 ლარის ოდენობით პირგასამტეხლო 1 000 ლარამდე უნდა შემცირდეს.

4.4. N106 აქტთან დაკავშირებით პალატა განმარტავს:

აქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეს ეკუთვნის 80 გრ.ძეხვი. შერჩევით აღებულ იქნა 10 ნაჭერი, რომლის წონა 585 გრ. აღმოჩნდა, შეწვის შედეგად ძეხვს დიდი რაოდენობით ჟელე აღენიშნებოდა. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულების შესაბამისად, მითითებული ჟელე ძეხვის შემადგენლობის ნაწილია, იგი ძეხვის მომზადების ტექნოლოგიური პროცესის დროს გამოიყენება, ჯანმრთელობისათვის უვნებელია და საქართველოში მოქმედ სტანდარტებს აკმაყოფილებს (ტ.1, ს.ფ. 113-116). პალატა მიიჩნევს, რომ თავად აქტში გაკეთებული შენიშვნის შესაბამისად, ძეხვის დაჭრა ხელით ხდებოდა, რაც თითოეული ნაჭრის წონაში ცდომილებას იძლეოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატა განმარტავს, რომ მართალია, ინვენტარით უზრუნველყოფა თავდაცვის სამინისტროს ვალდებულებას წარმოადგენდა, თუმცა, რადგან შპს „ქ. კ. კ.“ მასზე დაკისრებული ვალდებულების ჯეროვან შესრულებას ვერ ახდენდა შესაბამისი მოწყობილობის ე.წ. „სლეისერის“ არქონის გამო, მას თავდაცვის სამინისტროსათვის მითითებული შეფერხების თაობაზე ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა, რადგან შპს „ქ. კ. კ.“ ულუფის მოცულობის კონტროლს სხვაგვარად ვერ ახდენდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა აქტში ასახულ დარღვევას ნაწილობრივ დადასტურებულად მიიჩნევს, თუმცა, დარღვევის სიმძიმის, ხანგრძლივობის, მიმწოდებლის ბრალისა და დარღვევის შედეგების გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ 10 000 ლარის ოდენობით პირგასამტეხლო 1 000 ლარამდე უნდა შემცირდეს.

სამართლებრივი დასაბუთება

4.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის მიხედვით, პირგასამტეხლო - მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა - მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

პირგასამტეხლო წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის მიხედვითაც, მოვალე ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის ან ვალდებულების სხვა სახის დარღვევისათვის იხდის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ ფულად თანხას. ამდენად, პირგასამტეხლოს გამოყენებისათვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, პირგასამტეხლო შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ფულადი თანხის სახით. ამასთან,



იდენტიფიცირებადი უნდა იყოს ფულადი თანხის ოდენობა. პირგასამტეხლოს სახით გარკვეული ოდენობის ფულად თანხაზე უნდა არსებობდეს მხარეთა შეთანხმება. შეთანხმება მოითხოვს წერილობით ფორმას. პირგასამტეხლოს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების, გამოყენების წინაპირობაა ვალდებულების შეუსრულებლობა ან ვალდებულების დარღვევა. პირგასამტეხლოს მიზანია ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების დარღვევის თავიდან აცილება, ხოლო ვალდებულების დარღვევის პირობებში ე.წ. „პრეზუმირებული მინიმალური ზიანის“ ანაზღაურების უზრუნველყოფა, რაც, რაღა თქმა უნდა, არ წარმოადგენს ფაქტობრივი ზიანის ეკვივალენტ ფულად თანხას და არც ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას ემსახურება. შესაბამისად, პირგასამტეხლოს მოთხოვნის პარალელურად ვალდებულების შესრულების მოთხოვნა დაუშვებელია, თუ, რა თქმა უნდა, დარღვევა ვადაგადაცილებაში არ მდგომარეობს, ხოლო პირგასამტეხლოსთან ერთად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სავსებით შესაძლებელია. პირგასამტეხლოს ფუნქცია ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფაა. იგი კრედიტორის მხრიდან ვალდებულების შესრულების მიზნით მოვალეზე „ზეწოლის“ განხორციელების ერთგვარი ბერკეტია, ამასთან, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს მიღების მიზნით, კრედიტორი ზიანის მტკიცების ტვირთისაგან გათავისუფლებულია.

განსახილველ შემთხვევაში, პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ შპს „ქ. კ. კ.-მ“ ვალდებულება არაჯეროვნად შეასრულა (იხ. სააპელაციო პალატა მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება 4.1., 4.2., 4.3., 4.4.), თუმცა, რაღა თქმა უნდა, არა იმ ხარისხითა და მოცულობით, რაც შეთანხმებული პირგასამტეხლოს სრულად დარიცხვის საფუძველს წარმოადგენდა (იხ. სამართლებრივი შეფასება 4.6.). პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც, ვალდებულების შესრულება და პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნა ერთდროულად დაუშვებელია. პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებულ დასკვნას, თუმცა, აქვე დამატებით განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იმთავითვე ადგენს კანონით დადგენილი წესით შეთანხმებული პირგასამტეხლოს დაკისრების შესაძლებლობას ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შესაბამისად, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების პირობებში პირგასამტეხლოს დაკისრება კანონშესაბამისი და მართლზომიერია, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში ვალდებულება არაჯეროვნადაა შესრულებული, რაც პირგასამტეხლოს მოთხოვნის შესაძლებლობას არ გამორიცხავს. რაც შეეხება შესრულების მოთხოვნის პარალელურად პირგასამტეხლოს მოთხოვნის დაუშვებლობას, აღნიშნულ შემთხვევასთან საქმე მხოლოდ იმ შემთხვევაში გვაქვს, როდესაც კრედიტორი არაჯეროვანი შესრულების პარალელურად შესრულების გამოსწორებას, ანუ ჯეროვან შესრულებას ითხოვს და ამასთან, არაჯეროვანი შესრულების საფუძველზე პირგასამტეხლოს დარიცხვაზეც აცხადებს პრეტენზიას. განსახილველ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ შპს „ქ. კ. კ.-ს“ მხრიდან შესრულება მიიღო. შესრულების არაჯეროვანების დადგენის შედეგად საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ შპს „ქ. კ. კ.-ს“ უკვე შესრულებულის გამოსწორება, ანუ ჯეროვანი შესრულება კი არ მოსთხოვა, არამედ პირგასამტეხლოს დარიცხვის თაობაზე წარუდგინა პრეტენზია. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში შესრულებისა და პირგასამტეხლოს ერთდროულად მოთხოვნას ადგილი არ ჰქონია. პალატა აქვე დამატებით განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 419-ე მუხლის კონტექსტში კრედიტორს ერთდროულად არ შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების ჯეროვანი შესრულება და პირგასამტეხლო. ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში კი პირგასამტეხლოს მოთხოვნა გამორიცხულია, როდესაც კრედიტორი არაჯეროვანი



შესრულების ნაცვლად ჯეროვან შესრულებას ითხოვს. მოცემულ შემთხვევაში კი, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების პირობებში ვალდებულების ჯეროვანი შესრულება კი არ მოითხოვა, არამედ შპს „ქ. კ. კ.-ს“ პირგასამტეხლოს თაობაზე პრეტენზია წარუდგინა.

4.6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირგასამტეხლოს შემცირების შესაძლებლობას იძლევა. პირგასამტეხლოს შემცირების უფლება სასამართლოს აქვს მინიჭებული. ეს ის იშვიათი გამონაკლისთაგანია, როდესაც კანონი სახელშეკრულებო თავისუფლებაში ჩარევას დასაშვებად მიიჩნევს. თუმცა, ამგვარი ჩარევა გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება. კანონის სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად, მაღალი პირგასამტეხლო არ მცირდება. შემცირებას მხოლოდ „შეუსაბამოდ მაღალი“ პირგასამტეხლო ექვემდებარება. პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია თუ არა, შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად წყდება. ამასთან, შეფასების მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება პირგასამტეხლოს აშკარა შეუსაბამობა ვალდებულების დარღვევის შედეგებთან, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს პირგასამტეხლოს განსაკუთრებით მაღალი პროცენტიდან, ზიანის უმნიშვნელო ოდენობიდან, ვალდებულების დარღვევის მოკლე ვადიდან და ა.შ. პირგასამტეხლოს „აშკარა შეუსაბამობის“ თაობაზე მტკიცებულებებს წარადგენს პირი, რომელიც მის შემცირებას ითხოვს.

პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ N100 აქტით დარღვევა, რომელიც შპს „ქ. კ. კ.-ს“ შეიძლება ბრალად შეერაცხოს, არ ფიქსირდება (იხ. თბილისის სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება 4.1.), შესაბამისად, არ არსებობს მითითებულ აქტში ასახული დარღვევიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს დარიცხვის სამართლებრივი წინაპირობა. რაც შეეხება, N101, N103, N106 აქტებით გათვალისწინებულ დარღვევებს, პალატა მიიჩნევს, რომ მითითებულ აქტებში დაფიქსირებული დარღვევები, მათი სიმძიმის, სიხშირის, დამრღვევის მხრიდან ბრალის ხარისხისა და დარღვევის შედეგების გათვალისწინებით (იხ. სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება 4.2., 4.3., 4.4), პირგასამტეხლოს დარიცხვის წინაპირობას იძლევა, შემცირებული, კერძოდ, თითოეული აქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის 1000 ლარის ოდენობით.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა შეიცვალოს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, შპს „ქ. კ. კ.-ს“ თითოეული აქტით (N101, N103, N106) გათვალისწინებული დარღვევისათვის 1000 ლარი, სულ, ჯამში, 3000 ლარი უნდა დაეკისროს,

6. საპროცესო ხარჯები

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს



სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

„ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან დაწესებულებები (ორგანიზაციები), რომელთა ხარჯები ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან – ყველა საქმეზე;

მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ აპელანტი (მოსარჩელე) - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კანონის საფუძველზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია. შესაბამისად, შპს „ქ. კ. კ.-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს დაკმაყოფილებული მოთხოვნის პროპორციული სარჩელზე (100 ლარი (3000 ლარის 3%, მაგრამ, არანაკლებ 100 ლარისა)) და სააპელაციო საჩივარზე (150 ლარი (3000 ლარის 4%, მაგრამ, არანაკლებ 150 ლარისა)) გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 250 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. შპს „ქ. კ. კ.-ს“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისროს, პირგასამტეხლოს სახით, 3000 ლარის გადახდა;
5. შპს „ქ. კ. კ.-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს, სახელმწიფო ბაჟის სახით, 250 ლარის გადახდა;
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მისი სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 21 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში საკასაციო საჩივრის წარდგენის გზით;
7. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გამოცხადების თარიღი, ვალდებულია, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.



საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, ბაჟისაგან გათავისუფლებული პირებისათვის, ასევე პატიმრობაში მყოფი იმ პირებისათვის, რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი, გადაწყვეტილების ასლის გაგზავნასა და ჩაბარებას უზრუნველყოფს სასამართლო ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ქეთევან მესხიშვილი

მოსამართლეები

ნატალია ნაზდაიძე

ნათია გუჯაბიძე